საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

საზღვაო ტრანსპორტის
სააგენტო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

MARITIME TRANSPORT
AGENCY

Circ. No 001/ MTA 001

14 იანვარი 2013

საქართველოში მოქმედ ყველა საკრუინგო კომპანიას

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო საქართველოში საზღვაო დარგის ერთადერთ და ექსკლუზიურ მარეგულირებელ ორგანოს წარმოადგენს. 2010 წელს დაწყებული საზღვაო სფეროს რეფორმა, რომელიც დღემდე გრძელდება, საბოლოო მიზნად ისახავს საქართველოს როგორც მეზღვაურთა სამუშაო ძალის მიმწოდებელი ქვეყნის იმიჯის აღდგენას, რაც თავისთავად გრძელვადიან პერსპექტივაში მოიცავს ქართველ მეზღვაურთა ღირსეული და უსაფრთხო დასაქმების პირობების ჩამოყალიბებას, იქნება ეს სხვადასხვა საერთაშორისო ინსტრუმენტების რატიფიკაციის თუ საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის დახვეწის/გარდაქმნის გზით.

სააგენტო რეფორმის ყველა ეტაპზე ითვალისწინებდა და კვალავაც ითვალისწინებს ამ სფეროში მომუშავე ნებისმიერი კერძო პირის მოსაზრებებს. გვსურს აღვნიშნოთ, რომ ქართველ მეზღვაურთა ღირსეული და სამართლიანი დასაქმების პირობები უნდა შედიოდეს ამ საქმეში ჩართული ყველა პირის ინტერესებში.

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსათვის, როგორც ბოლო პერიოდში გახდა ცნობილი, გარკვეული საკრუინგო კომპანიები მეზღვაურთა დასაქმების მიზნით დამსაქმებლებს აწოდებენ არასწორ ინფორმაციას მეზღვაურთა სამუშაო გამოცდილების შესახებ, რაც მთელ რიგ შემთხვევებში არამხოლოდ კომპანიის, არამედ მეზღვაურისთვისაც სავალალოდ სრულდება.

საქართველო, ქ. ბათუმი, 6000
ნინოშვილის ქ. 23
23, Ninoshvili Str, 6000, Batumi, Georgia

www.mta.gov.ge
E-mail: info@mta.gov.ge

ტელ/ Tel: +995 422 27 49 25/26
ფაქსი/Fax: +995 422 27 39 29
ს/კ - ID Code № 245 631 632

კიდევ ერთხელ ხაზგასმით გვსურს აღვნიშნოთ, რომ ზემოხსენებული მანკიერი პრაქტიკა თავისი არსით მთლიანად ეწინააღმდეგება მეზღვაურთა ღირსეული და სამართლიანი დასაქმების პრინციპებს, რაც საბოლოო ჯამში მთლიანად ქვეყანას დააზარალებს. ხსენებული პრაქტიკის გაგრძელების შემთხვევაში სააგენტო იტოვებს უფლებას ყოველი კონკრეტული შემთხვევა გახადოს საჯარო და რეაგირებისათვის გადასცეს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს.

იმედს ვიტოვებთ, რომ სააგენტოსა და თითოეული თქვენგანის ძალისხმევით ეს მეტად სახიფათო პრაქტიკა უმოკლეს ვადებში იქნება აღმოფხვრილი.

მ. ახალაძე

მამუკა ახალაძე

სააგენტოს დირექტორი